სსიპ - აჭარის ხელოვნების მუზეუმი

სამოდელო სტუდია „ნატალი“

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი სახელოვნებო სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და სამოდელო სტუდია „ნატალი“ თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებას;
- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები მოქმედებენ შეთანხმებულად პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ნამუშევრების ჩვენებებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს სამოდელო სტუდია „ნატალი" – ს თანამშრომლები, უნივერსიტეტის პროფესორები და სასწავლო-შემოქმედებით პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ.

1.3. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ ტანსაცმლის დიზაინის მიმართულებით საკურსო და სადიპლომო ნაშრომების ჩვენებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.)

1.4. სტუდია "ნატალი" საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკის გავლასა და ახალგაზრდა სპეციალისტთა სტაჟირებას.

1.5. განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო–შემოქმედებით ფესტივალებს და ჩვენება–გამოფენებს.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სამოდელო სტუდია „ნატალი" – ს
დირექტორი — ნ. სამადალაშვილი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია

2011 წლის 02 მარტი